ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 13
18/03/2016

13-08-4-201603181807

განკარგულება

„ა.(ა).ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ხელოვნების გალერეასათვის“ (ს/კ -441994825) დაბა ჩოხატაურში გურიის ქ. N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 162.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.078.01.501) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე **საკრებულო ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს ა.(ა).ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ხელოვნების გალერეასათვის“ (ს/კ -441994825) დაბა ჩოხატაურში გურიის ქ. N1-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 162.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის

(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.21.078.01.501) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა